პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი

გადაწყვეტილება № გ-1/314/2016

კ.ე.-ს განცხადებასთან დაკავშირებული განხილვის დასრულების შესახებ

ქ. თბილისი **26/10/2016**

განმცხადებელი: კ.ე. (პ/ნ **********)

მოთხოვნა: ვიდეოთვალთვალის წესების დარღვევაზე რეაგირება.

აღწერილობითი ნაწილი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს 2016 წლის 01 სექტემბერს №PDP01600001176 განცხადებით მომართა მოქალაქე კ.ე.-მ და მიუთითა, რომ მისი საცხოვრებელი შენობის (მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, *****-ის ქ. №38) მოპირდაპირე მხარეს არსებული საცხოვრებელი სახლის (მის: ქ. თბილისი, *****-ის ქ. №35) მობინადრემ - ბ.ო.-მ (პ/ნ **********) დააყენა სათვალთვალო ვიდეოკამერა, რომლითაც ხდებოდა განმცხადებლის საცხოვრებელი სახლის ვიდეოთვალთვალი. განმცხადებლის განმარტებით, ამით უხეშად ირღვეოდა მისი უფლებები და ითხოვდა მისი საცხოვრებელი სახლის ვიდეოთვალთვალის შეწყვეტის მიზნით კანონით გათვალისწინებული ზომების მიღებას.

ზემოაღნიშნულ განცხადებას ერთვოდა ფოტოსურათები, რომლებიც განმცხადებლის განმარტებით გადაღებული იყო მისი საცხოვრებელი სახლიდან და მასზე ასახული იყო ბ.ო.-ს საცხოვრებელი სახლი. ფოტოსურათებით დგინდება, რომ *****-ის ქ. №35-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის გარე ფასადზე დამონტაჟებულია 02 (ორი) ერთეული ვიდეოკამერა, რომელთაგან ერთ-ერთი მიმართულია ამავე საცხოვრებელი სახლის შესასვლელისკენ, ხოლო მეორე - იმ ტერიტორიის მიმართულებით, საიდანაც მოხდა ფოტოგადაღება.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2016 წლის 06 სექტემბრის №გ-1/258/2016 გადაწყვეტილებით განსახილველად იქნა მიღებული კ.ე.-ს განცხადება და განცხადებაში მითითებული გარემოებების შესწავლის მიზნით, განისაზღვრა არაგეგმიური ინსპექტირების ჩატარება.

ინსპექტორის 2016 წლის 14 სექტემბრის N03/75 ბრძანების საფუძველზე განხორციელდა ქ. თბილისში, *****-ის ქ. №35-ში მდებარე საცხოვრებელ შენობაში განთავსებული ვიდეოთვალთვალის სისტემის მეშვეობით პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმება. შემოწმების შედეგად დადგინდა შემდეგი გარემობები:

- ვიდეოთვალთვალის განმახორციელებელი პირის - ბ.ო.-ს მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტების თანახმად, ვიდეოთვალთვალის სისტემა მის საცხოვრებელ სახლში განთავსებულია ბოლო 10 (ათი) წლის განმავლობაში, მისი ოჯახის წევრების უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის მიზნით. მისივე განმარტებით, 2016 წლის 20 და 21 აგვისტოს განხორციელდა ვიდეოკამერების განახლება (ახალი ვიდეოკამერებით ჩანაცვლება), ხოლო ახალი ვიდეოთვალთვალის სისტემის ჩართვა მოხდა 2016 წლის 18 სექტემბერს.
- ქ. თბილისში, *****-ის ქ. №35-ში მდებარე ბ.ო.-ს საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლის გარე ფასადზე განთავსებულია 02 (ორი) ერთეული ვიდეოკამერა. ერთ-ერთი ვიდეოკამერის ხედვის არეალში ხვდება ამავე საცხოვრებელი შენობის შესასვლელ კართან არსებული გარე პერიმეტრი, კერძოდ, საფეხმავლო ბილიკი და სავალი გზის ნაწილი. მეორე ვიდეოკამერის ხედვის არეალში, გარდა სრულად სავალი გზისა, ხვდება საცხოვრებელი სახლის მოპირდაპირე მხარეს არსებული 03 (სამი) საცხოვრებელი სახლი (მათ შორის, განმცხადებლის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლი), კერძოდ, აღნიშნული საცხოვრებელი სახლების შესასვლელი კარები, ფანჯრები, აივნები, 02 (ორი) საცხოვრებელის სახლის ავტოფარეხის შესასვლელი სივრცე, სავალი გზა და მიმდებარე ტერიტორიაზე გაჩერებული ავტომობილები.
- ვიდეოთვალთვალი ხორციელდება უწყვეტად, 24 (ოცდაოთხი) საათიან რეჟიმში. ვიდეოთვალთვალის სისტემა აღჭურვილია 02 (ორი) ღამის ხედვის მქონე ანალოგური ტიპის ვიდეოსათვალთვალო კამერით, რომელთაც არ გააჩნიათ მანევრირების შესაძლებლობა, თუმცა აქვთ დაკვირვების ობიექტის გადიდების (ე.წ. „Zoom“) ფუნქცია. გადაღების კუთხის შესაცვლელად საჭიროა ვიდეოსათვალთვალო კამერების მექანიკური დარეგულირება.
- ვიდეოთვალთვალის სისტემას გააჩნია ჩაწერის ფუნქცია. ვიდეოჩანაწერების ადგილზე შემოწმებისას აღმოჩენილი ჩანაწერები მოიცავს 2016 წლის 18 სექტემბრიდან 2016 წლის 27 სექტემბრამდე პერიოდს, ხოლო ახალი ჩანაწერის გადაწერა ხდება ავტომატურად ძველ ჩანაწერზე. ვიდეოსათვალთვალო კამერებს არ გააჩნიათ აუდიოჩაწერის ფუნქცია.
- ვიდეოსათვალთვალო კამერები განთავსებულია საცხოვრებელი შენობის გარე პერიმეტრზე (ფასადზე) - შემოსასვლელ კართან, თუმცა ვიდეოთვალთვალის მიმდინარეობის შესახებ შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშანი არ არის განთავსებული.

- ინსპექტორის აპარატში 2016 წლის 10 ოქტომბერს ქ. თბილისში *****-ის ქ. №36-ში და №40-ში მდებარე საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეების მიერ წარმოდგენილი წერილით დგინდება, რომ აღნიშნული პირები თანახმა არიან განხორციელდეს მათი საცხოვრებელი სახლების ვიდეოთვალთვალი ბ.ო.-ს საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ შენობაში განთავსებული ვიდეოსათვალთვალო სისტემის მეშვეობით. თუმცა, ბ.ო.-მ ვერ უზრუნველყო ვიდეოთვალთვალის განხორციელებასთან დაკავშირებით განმცხადებლის თანხმობის არსებობის დამადასტურებელი მტკიცებულების წარმოდგენა.
- ბ.ო.-ს განმარტებით, ვიდეოჩამწერი მოწყობილობა დაცული არ არის სპეციალური საშუალებით, არც პროგრამულად (მომხმარებლის სახელისა და პაროლის მეშვეობით) არის შეზღუდული მასზე წვდომა და ვიდეოჩანაწერებზე მხოლოდ მას და მის ოჯახის წევრებს, კერძოდ, მეუღლეს და მცირეწლოვან შვილს აქვთ წვდომა. მისივე განმარტებით, ვიდეოთვალთვალის შედეგად მოპოვებული მასალის მესამე პირებისათვის გამჟღავნებას არ ჰქონია ადგილი.

ვიდეოთვალთვალის განმახორციელებელი პირის - ბ.ო.-ს მიერ საცხოვრებელი შენობის ვიდეოთვალთვალის წესის დარღვევის ფაქტზე, კერძოდ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-4 პუნქტის დარღვევისთვის 2016 წლის 13 ოქტომბერს შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №0000222, რომელიც ხელმოწერით დაადასტურა ბ.ო.-მ. ამასთან, აღნიშნულ ოქმში ვიდეოთვალთვალის განმახორციელებელმა პირმა ახსნა-განმარტების სახით მიუთითა, რომ მხედველობაში მიიღო შემოწმების მიმდინარეობისას გამოვლენილი გარემოებები და არაუგვიანეს 2016 წლის 17 ოქტომბრისა მოახდენდა ვიდეოკამერის რაკურსის შეცვლას იმგვარად, რომ ხედვის არეალში მოხდება მხოლოდ საერთო სივრცე.

სამოტივაციო ნაწილი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა იმსჯელა ბ.ო.-ს მიერ ვიდეოსათვალთვალო სისტემის მეშვეობით მონაცემთა დამუშავების კანონიერებაზე.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, პერსონალური მონაცემი არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. ამავე მუხლის „დ“ პუნქტის შესაბამისად, მონაცემთა დამუშავება განმარტებულია როგორც ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არაავტომატური საშუალებების გამოყენებით მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, მათ შორის ჩაწერა, ფოტოზე აღბეჭდვა, აუდიოჩაწერა, ვიდეოჩაწერა, ორგანიზება და შენახვა. ხოლო „ი“ პუნქტის მიხედვით, მონაცემთა დამმუშავებელს წარმოადგენს საჯარო დაწესებულება, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად განსაზღვრავს

პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს, უშუალოდ ან უფლებამოსილი პირის მეშვეობით ახორციელებს მონაცემთა დამუშავებას.

შემოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ ბ.ო ქ. თბილისში, *****-ის ქ. №35-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის გარე ფასადზე განთავსებული 02 (ორი) ერთეული ვიდეოკამერის მეშვეობით ახდენდა მისი საცხოვრებელი შენობის შესასვლელ კართან არსებული გარე პერიმეტრის - საფეხმავლო ბილიკის და სავალი გზის ვიდეოთვალთვალს. ერთ-ერთი ვიდეოკამერის ხედვის არეალში ასევე ექცეოდა *****-ის ქ. №36, №38 და №40-ში მდებარე საცხოვრებელი სახლების კარები, ფანჯრები, აივნები, საცხოვრებელის სახლის ავტოფარეხის შესასვლელი სივრცე, სავალი გზა და მიმდებარე ტერიტორიაზე გაჩერებული ავტომობილები.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, ამ კანონის მიზანია, პერსონალური მონაცემის დამუშავებისას უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, მათ შორის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა. პირის უფლება, რომ გარეშე პირთა დაკვირვების გარეშე, თავისუფლად ისარგებლოს საკუთარი საცხოვრებელი სივრცით ისე, რომ არ მოხდეს მის საცხოვრებელ შენობაში მისი გადაადგილების, შემსვლელ და გამომსვლელ პირთა იდენტიფიცირება ან/და საცხოვრებელ შენობაში შესვლა-გასვლის დროის დაფიქსირება, წარმოადგენს მისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის რეალიზების ერთ-ერთ მნიშვნელოვან გარანტს. ზემოაღნიშნული კანონის მე-13 მუხლით დადგენილია სპეციალური წესები საცხოვრებელი შენობის ვიდეოთვალთვალთან დაკავშირებით. აღნიშნული მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების თანახმად, საცხოვრებელ შენობაში ვიდეოთვალთვალის სისტემის დაყენება დასაშვებია მხოლოდ პირისა და ქონების უსაფრთხოების მიზნებისათვის. ვიდეოთვალთვალის სისტემის მეშვეობით ბინის შესასვლელის მონიტორინგის განხორციელება დასაშვებია მხოლოდ ამ ბინის მესაკუთრის გადაწყვეტილებით ან მისი წერილობითი თანხმობის საფუძველზე.

როგორც განცხადების განხილვის ფარგლებში დადგინდა, *****-ის ქ. №36 და №40-ში მდებარე საცხოვრებელი სახლების გარდა ხორციელდებოდა ასევე განმცხადებლის საცხოვრებელი სახლის (მდებარე *****-ის ქ. №38-ში) შესასვლელი კარის, ფანჯრის და აივნის ვიდეოთვალთვალი. *****-ის ქ. №36 და №40-ში მდებარე საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეების თანხმობის არსებობის მიუხედავად კი, განმცხადებლის თანხმობა მისი საცხოვრებელი სახლის ვიდეოთვალთვალის განხორციელების თაობაზე ვერ იქნა წარმოდგენილი. ამასთან, განმცხადებელი ცალსახად მიუთითებდა, რომ მისი ნების საწინააღმდეგოდ ხორციელდებოდა მისი საცხოვრებელი სახლის (მათ შორის ბინის შესასვლელის) ვიდეოთვალთვალი. შესაბამისად, ბ.ო. მესაკუთრის - განმცხადებლის ნების საწინააღმდეგოდ, მისი თანხმობის გარეშე ახორციელებდა სხვისი საცხოვრებელი შენობის (რომელიც ასევე მოიცავდა ბინის შესასვლელს) მონიტორინგს.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-4 პუნქტი მკაფიოდ მიუთითებს, რომ მიუხედავად ვიდეოთვალთვალის განხორციელების მიზნისა, საცხოვრებელი ბინის შესასვლელის ვიდეოთვალთვალი დასაშვებია მხოლოდ ამ ბინის მესაკუთრის გადაწყვეტილებით ან მისი წერილობითი თანხმობის საფუძველზე. ამდენად, დგინდება რომ ბ.ო-ს მიერ მისი მეზობლის - კ.ე.-ს საცხოვრებელი შენობის (მათ შორის ბინის შესასვლელის) ვიდეოთვალთვალი ხორციელდება მისი თანხმობის გარეშე, რაც წარმოადგენს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნის დარღვევას და ამავე კანონის 48-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 55-ე მუხლის თანახმად, ინსპექტორის მიერ უფლებამოსილი პირი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ადგენს და საქმეს განიხილავს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 23-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სახდელი წარმოადგენს პასუხისმგებლობის ზომას და გამოიყენება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენის აღსაზრდელად კანონების დაცვის, საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის სულისკვეთებით, აგრეთვე როგორც თვით სამართალდამრღვევის, ისე სხვა პირთა მიერ ახალი სამართალდარღვევების ჩადენის აცილების მიზნით.

ვინაიდან „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლი პირველი პუნქტი ადმინისტრაციული სახდელის სახით ითვალისწინებს გაფრთხილების ან ჯარიმის დაკისრების შესაძლებლობას, ადმინისტრაციული სახდელის განსაზღვრისას ინსპექტორმა გაითვალისწინა, რომ ვიდეოთვალთვალის განმახორციელებელმა პირმა შემოწმების პროცესში გაიაზრა სამართალდარღვევის არსი და გამოთქვა მზაობა შეეწყვიტა განმცხადებლის საცხოვრებელი სახლის ვიდეოთვალთვალი. ამასთან, ბ.ო. ზემოხსენებული სამართალდარღვევისათვის ადმინისტრაციული წესით არ ყოფილა სახდელდადებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამართალდამრღვევისა და სამართალდარღვევის ხასიათის გათვალისწინებით, ბ.ო.-ს მიმართ ადმინისტრაციული სახდელის სახით გაფრთხილების გამოყენება წარმოადგენს ადეკვატურ და საკმარის ღონისძიებას.

საგულისხმოა შემოწმების ფარგლებში გამოვლენილი გარემოება ვიდეოჩამწერი მოწყობილობის დაცვასთან და მასზე წვდომასთან დაკავშირებით. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია მიიღოს ისეთი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისაგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისაგან, მოპოვებისაგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან. ვიდეოთვალთვალის განმახორციელებელმა პირმა შემოწმების ფარგლებში განმარტა, რომ ვიდეოჩანაწერებზე წვდომა ხდება სპეციალური დაცვის (მათ შორის, მომხმარებლის და

პაროლის მითითების) გარეშე და მასზე მისი ოჯახის წევრებს, კერძოდ, მეუღლეს და მცირეწლოვან შვილს აქვთ წვდომა. მოცემულ შემთხვევაში, როდესაც ვიდეოთვალთვალის მეშვეობით ხორციელდება როგორც ცალკეული საცხოვრებელი სახლების მობინადრეების, ასევე მიმდებარე ტერიტორიაზე გამვლელი პირების მონაცემების დამუშავება, მნიშვნელოვანია, რომ ვიდეოჩანაწერები იყოს დაცული მათი უკანონო გამჟღავნებისგან ან/და გამოყენებისგან და ვიდეოჩანაწერებზე წვდომის მქონე პირებს გააზრებული ჰქონდეთ ვიდეოჩანაწერების არამართლზომიერი გამოყენების არასასურველი შედეგები. ვიდეოთვალთვალის განმახორციელებელმა პირმა კი უნდა მიიღოს პრევენციული ზომები ვიდეოჩანაწერების უკანონო გამჟღავნების შესაძლო რისკების მინიმიზაციისთვის და უზრუნველყოს არაუფლებამოსილი პირებისთვის წვდომის შეზღუდვა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2, მე-13, მე-17, 27-ე, 34-ე, 35-ე, 39-ე, 48-ე და 55-ე მუხლების საფუძველზე,

ინსპექტორმა გადაწყვიტა:

1. ბ.ო. (პ/ნ **********) ცნობილ იქნას სამართალდამრღვევად „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენაში და ადმინისტრაციული სახდელის სახით შეეფარდოს გაფრთხილება;
2. დაევალოს ბ.ო.-ს (პ/ნ **********) გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 05 (ხუთი) დღის ვადაში:
    2.1. შეწყვიტოს განმცხადებლის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლის - მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, *****-ის ქ. №38 ვიდეოთვალთვალი;
    2.2. მონაცემთა სუბიექტ(ებ)ის ინფორმირების მიზნით უზრუნველყოს ვიდეოთვალთვალის მიმდინარეობის შესახებ შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნის თვალსაჩინო ადგილას განთავსება;
    2.3. ვიდეოთვალთვალის სისტემის მეშვეობით განხორციელებული ვიდეოჩანაწერების უსაფრთხოების დაცვის მიზნით უზრუნველყოს სათანადო ზომების მიღება (მათ შორის, ვიდეოჩანაწერებზე არასრულწლოვანი პირ(ებ)ის წვდომის შეზღუდვის გზით);
3. დასრულდეს მოქალაქე კ.ე.-ს 2016 წლის 01 სექტემბრის №PDP01600001176 განცხადებასთან დაკავშირებული საქმის განხილვა;
4. განმცხადებელს და ბ.ო.-ს ეცნობოთ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ;
5. გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6) ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

თამარ ქალდანი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი